

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის 5 თანამდებობის პირს ქონებრივი დეკლარაცია არასრულად აქვს შევსებული. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ გამოვლენილი მიგნებებით საჯარო სამსახურის ბიურო უნდა დაინტერესდეს.

დეკლარაციებში აღმოჩენილ ხარვეზებს შორის 3 შემთხვევა ეხება საკუთრებაში არსებული ქონების მიუთითებლობას, ერთ შემთხვევაში ოჯახის წევრის სამენარმეო საქმიანობა არ არის აღნიშნული, კიდევ ერთ შემთხვევაში კი თანამდებობის პირმა სანარმოში კუთვნილი წილები, კანონის მოთხოვნის მიუხედავად, სხვა პირს მინდობით არ გადასცა.

## ფრიდონ ფუტკარაძე

შუახევის მერი



ფრიდონ ფუტკარაძეს 29 ივნისს შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ აქვს მითითებული მეუღლის ნესტან ფუტკარაძის სამენარმეო საქმიანობა. ნესტან ფუტკარაძე 50%-იან წილს ფლობს შპს „[ეკოტური Ge](#)“-ში. კომპანია სახელმწიფო ტენდერებში არ მონაწილეობს. საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის მე-15 მუხლის თანახმად, თანამდებობის პირმა დეკლარაციაში უნდა ასახოს საქართველოში ან სხვა ქვეყანაში სამენარმეო საქმიანობაში მისი და ოჯახის წევრის პირდაპირი და არაპირდაპირი მონაწილეობა <sup>1</sup>.

## ომარ ტაკიძე

შუახევის მერიის პირველი მოადგილე



ომარ ტაკიძეს 2018 წლის 13 იანვარს შევსებულ [დეკლარაციაში](#) მითითებული აქვს თავისი სამენარმეო საქმიანობა, რომლის მიხედვითაც, ის 55%-იან წილს ფლობს შპს „[ეკონომიაში](#)“ და 59%-იან წილს - შპს „[აშენე და იმეგობრეში](#)“. არცერთი კომპანიის წილი მას მინდობით არ აქვს გადაცემული სხვა პირზე, რაც კანონმდებლობის დარღვევაა<sup>2</sup>. შპს „ეკონომიაში“ 2017 წელს ბათუმის მე-6 საჯარო სკოლას 200 ლარამდე ღირებულების სამშენებლო მასალა მიაწოდა, „აშენე და იმეგობრე“ ბათუმის მე-2 საჯარო სკოლის მიერ გამოცხადებულ ტენდერში იღებდა მონაწილეობას, თუმცა ვერ გაიმარჯვა.

## მიხეილ დავითაძე

შუახევის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი



მიხეილ დავითაძეს 2018 წლის 1 აგვისტოს შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ აქვს მითითებული თავის საკუთრებაში არსებული [ფართი](#), რომლის მიხედვითაც ის 43.20 კვ.მ. ფლობს შუახევეში, რუსთაველის ქუჩაზე.

## ედნარ კეჟერაძე

შუახევის საკრებულოს საფინანსო კომისიის თავმჯდომარე



ედნარ კეჟერაძეს 2018 წლის 20 აგვისტოს შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ აქვს მითითებული საკუთრებაში არსებული 800 კვ.მ. მიწის ფართი შუახევის სოფელ [სამოლეთში](#). ამავე მიწის თანამესაკუთრეა ედნარ კეჟერაძის მეუღლე, გოგოლა ბერიძე - დეკლარაციაში არც ეს ფაქტია მითითებული.

## ზაზა დავითაძე

შუახევის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე



ზაზა დავითაძეს 24 სექტემბერს შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ აქვს მითითებული საკუთრებაში არსებული ფართი, რომლის მიხედვითაც ის [53.76 კვ.მ.](#) მიწის ფართის მფლობელია შუახევეში, რუსთაველის ქუჩაზე.

კვლევაში ნარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ მიმართავს საჯარო სამსახურის ბიუროს შეისწავლოს აღნიშნული პირების ქონებრივი დეკლარაციები და იმოქმედოს კანონის შესაბამისად.

1 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33550?publication=63>

2 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33550?publication=63> - მე-15 მუხლი